X Y

553481 4636125

ID 91235

20.03.23წ მონაცემებით ობიექტი ფიქსირდება

შპს „ქართული ლუდის და ალკოჰოლური სასმელების კომპანია"-ს საკუთრებაში (ს/კ 53.01.38.016.) ფლობს მოქმედ ლიცენზიას № 1005588, ვადა 12.06.2023წ-მდე.

გ.ნ.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 53.01.38.016**

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

**განცხადების რეგისტრაცია**
**N 882020835129 - 03/11/2020 16:46:17**

**მომზადების თარიღი**
**09/11/2020 19:07:12**

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| თელავი | აკურა | | |
| **53** | **01** | **38** | **016** |

**მისამართი: თელავი , სოფელი აკურა**

**ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება
**ნაკვეთის დანიშნულება:** სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)
**დაზუსტებული ფართობი:** 700000.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**53.01.12.013;**

## მესაკუთრის განყოფილება

**განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 532007003498 , თარიღი 09/07/2007**

**უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:**

- მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმი N1410 , დამოწმების თარიღი:14/06/2007 , სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამხარეო სამმართველო

**მესაკუთრეები:**
**შპს "ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია"**, ID ნომერი:226523866

**მესაკუთრე:**
**შპს "ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია"**

**აღწერა:**

## იპოთეკა

**1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882020835129 თარიღი 03/11/2020 16:46:17**

**იპოთეკარი:** სააქციო საზოგადოება **"საქართველოს ბანკი"**204378869;
საგანი:მიწის ნაკვეთი დაზუსტებული ფართობი: 700000.00 კვ.მ. ;

**იპოთეკის ხელშეკრულება NCAH000448982, დამოწმების თარიღი03/11/2020, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,**

**უფლების რეგისტრაცია: თარიღი 09/11/2020**

**საგადასახადო გირავნობა:**

**რეგისტრირებული არ არის**

## ვალდებულება

**ყადაღა/აკრძალვა:**

# ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22093976, 28/07/2022 13:09:39

## სუბიექტი

| | |
|---|---|
| **საფირმო სახელწოდება:** | შპს ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია |
| **სამართლებრივი ფორმა:** | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| **საიდენტიფიკაციო ნომერი:** | 226523866 |
| **რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:** | 4/4-169; 29/11/1995 |
| **მარეგისტრირებელი ორგანო:** | თბილისის მთაწმინდის სასამართლო |
| **იურიდიული მისამართი:** | საქართველო, ქალაქი თელავი, აჩინებული |

## რეორგანიზაციის ისტორია

| **რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტი** | **ოპერაცია** | **რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი** | **თარიღი** |
|---|---|---|---|
| სს აჩინებული (231167830) | შერწყმა | შპს ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია (226523866) | 11/04/2001 |

## ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

## მმართველობის ორგანო

- დირექტორთა საბჭო

  წევრი: პატრიკ ჰონეფ, L2WMGWCZZ, C4TZ7YP9L /გერმანია/

  წევრი: ფილიპ ლესპი-ლაბაილეტ, 14FV02320 /საფრანგეთი/ (უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი)

**ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა**

- დირექტორი - პატრიკ ჰონეფ, L2WMGWCZZ, C4TZ7YP9L /გერმანია/
- დირექტორი - ფილიპ ლესპი-ლაბაილეტ, 14FV02320 /საფრანგეთი/

უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი

---

**კაპიტალი**

---

**პარტნიორები**

| მესაკუთრე | წილი | წილის მმართველი |
|---|---|---|
| სააქციო საზოგადოება მარუსია (საქართველო), 404392885 | 100% | |

---

**ვალდებულება**

რეგისტრირებული არ არის

---

**ყადაღა/აკრძალვა**

რეგისტრირებული არ არის

**საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება**

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R21669129 21/09/2021 18:48:33**

  **კრედიტორი : სს თიბისი ბანკი (საქართველო) 204854595**

  **მესაკუთრე : შპს ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია (საქართველო) 226523866**

  საგანი: **არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : გირავნობის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1.2 პუნქტში აღწერილი არსებული და სამომავლო მარაგები სრულად**

  საფუძველი: **გირავნობის ხელშეკრულება, 1231232895290, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 21.09.2021**

**მოვალეთა რეესტრი**

რეგისტრირებული არ არის

---

## 5. დირექტორთა საბჭო

5.1 *საზოგადოების* ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს *დირექტორთა საბჭო.*

5.2 *დირექტორთა საბჭო* შედგება არაუმეტეს ხუთი წევრისაგან, რომელთაგან ერთ-ერთი არის *უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი. დირექტორთა საბჭოს* წევრები ცალ-ცალკე და დამოუკიდებლად არიან უფლებამოსილნი წარმოადგინონ *საზოგადოება* მესამე პირებთან ურთიერთბაში. *დირექტორთა საბჭო* გადაწყვეტილებებს იღებს ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რაზეც საჭიროა *საერთო კრების* დასტური, ასევე იმ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც *დირექტორთა საბჭოს* დაევალება *საერთო კრების* მიერ.

5.3 *დირექტორთა საბჭოს* გადაწყვეტილებები მიიღება *დირექტორთა საბჭოს* სხდომაზე ხმათა უმრავლესობით. *დირექტორთა საბჭო* გადაწყვეტილებაუნარიანია, როდესაც მას ესწრება წევრთა უმრავლესობა.

5.4 *დირექტორთა საბჭოს* ფუნქციები მოიცავს შემდეგს:

ა. *საზოგადოების* წლიური ბიზნეს გეგმის და წლიური ბიუჯეტის შედგენა და *საერთო კრებისთვის* წარდგენა დასამტკიცებლად;

ბ. საერთო კრების გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველყოფა;

გ. თანამშრომელთა, გარდა მენეჯმენტისა არჩევის, განთავისუფლების, ტრეინინგის და ანაზღაურების საკითხების გადაწყვეტა;

დ. *საერთო კრებისათვის* მენეჯმენტის წარმომადგენლის არჩევის, განთავისუფლების, ტრეინინგის და ანაზღაურების საკითხების შეთავაზება დასამტკიცებლად;

ე. *საერთო კრების* მიერ *დირექტორთა საბჭოსათვის* დავალებულ სხვა საკითხებზე მუშაობა;

ვ. წინამდებარე წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების შესრულება.

5.6 *დირექტორთა საბჭო* წარუდგენს *საერთო კრებას* ფინანსურ ანგარიშგებებსა და მოგების განაწილების წინადადებას, *საერთო კრების* მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად.

(პ) თანამშრომელთათვის 2,500 აშშ დოლარზე მეტი ოდენობის სესხის მიცემა;

(ჟ) სესხის, ვალის, დეპოზიტის ან სხვა სახის დაფინანსების ან ფინანსური დახმარების მიღება;

(რ) გენერალური მინდობილობის (პროკურის) ან ნებისმიერი მსგავსი ფართო უფლებამოსილების მიმნიჭებელი მინდობილობის გაცემა და გაუქმება.

4.9 იმ შემთხვევაში, თუ *საწესდებო კაპიტალის* გაზრის დროს, პარტნიორი არ შეიტანს შენატანს იმ ვადებში და იმ პირობებით, რომლებზეც შეთანხმდებიან *პარტნიორები*, ამგვარი პარტნიორი ავტომატურად კარგავს გაზრდილ *საწესდებო კაპიტალში* კუთვნილ წილს და უმცირდება საზოგადოებაში პროცენტული წილი, კონვერტაციის მაჩვენებლით, რომელიც გამოითვლება მხოლოდ და მხოლოდ *საზოგადოების* საკუთარი კაპიტალის ღირებულების საფუძველზე, *საზოგადოების* ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით შედგენილი ანგარიშების შესაბამისად.

*„დაკავშირებული მხარე“* ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც: (i) წარმოადგენს სხვა კონკრეტული პირის *აფილირებულ* პირს, (ii) არის ამგვარი კონკრეტული პირის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, დირექტორი, თანამდებობის პირი, პარტნიორი ან მინდობილი პირი; (iii) რომელშიც ამგვარ კონკრეტულ პირს გააჩნია მნიშვნელოვანი წილი; ან (iv) რომელიც ამგვარ კონკრეტულ პირში ფლობს მნიშვნელოვან წილს. ფიზიკურ პირთან მიმართებაში, *დაკავშირებული მხარე* ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც წარმოადგენს ამგვარი ფიზიკური პირის ოჯახის წევრს, ან ასეთ ოჯახის წევრთან დაკავშირებულ მხარეს. „მნიშვნელოვანი წილი“ წარმოადგენს პირის ხმის უფლების მქონე აქციათა/წილის პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობას ხმის უფლების ან ფასიანი ქაღალდების სულ მცირე 5 %-ის ოდენობით.

*„აფილირებული პირი“* ნიშნავს, ნებისმიერ პირთან დაკავშირებით, ნებისმიერ სხვა იურიდიულ პირს, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან რამდენიმე შუამავლის მეშვეობით აკონტროლებს, კონტროლდება ან საერთო კონტროლქვეშაა ზემოაღნიშნული პირის მიერ. წინამდებარე განმარტების მიზნებისათვის, ტერმინი *„კონტროლი“* გამოიყენება ნებისმიერი პირის მიმართ და ნიშნავს პირდაპირ ან არაპირდაპირ შემდეგის ფლობას: (i) ხმის უფლების ნახევარზე მეტის ფლობა ან (ii) დირექტორთა საბჭოს ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრთა ნახევარზე მეტის დანიშვნის უფლება, რომელსაც გააჩნია წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

5.7 ნებისმიერი ისეთი გარემოების აღმოჩენისას, რომელიც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს *საზოგადოების* საქმიანობას, ოპერაციებს, ფინანსურ მდგომარეობას, პოტენციალს ან მის შესაძლებლობას, შეასრულოს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდეს მის ნებისმიერი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან, *დირექტორთა საბჭომ* დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს *პარტნიორებს* აღნიშნულის თაობაზე, გარემოების და მის აღმოსაფხვრელად *საზოგადოების* მიერ დაგეგმილი ღონისძიებების აღწერით.

5.8 *საზოგადოება* ვალდებულია მომზადებისთანავე, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, არაუგვიანეს ექვსი კალენდარული თვისა თითოეული ფინანსური წლის დასრულებიდან, მიაწოდოს *პარტნიორებს* ფინანსური წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შედგენილი, *საზოგადოების* სრული აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების, აღნიშნულის თაობაზე აუდიტორულ დასკვნისა და აუდიტორების მხრიდან ნებისმიერი სხვა კომუნიკაციის ორი ასლი.

## 6. საზოგადოების ლიკვიდაცია

*საზოგადოების* ლიკვიდაცია განხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

## 7. დასკვნითი დებულებები

7.1 წინამდებარე წესდება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ორ ვერსიას შორის განსხვავების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ვერსიას.

7.2 წესდებაში ნებისმიერი ცვლილება მოითხოვს წერილობით ფორმას, რომელიც მტკიცდება *საერთო კრების* მიერ.

7.3 ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ ახდენს წესდების დანარჩენი დებულებების იურიდიულ ძალაზე.

**თანხმობა**

მე, შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია"-ის (226523866) დირექტორი პატრიკ ჰონეფი (პასპორტის ნომერი L2WMGWCZZ; C4Y0K755W; C4Y045940), თანახმა ვარ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულმა სააგენტომ გამოაცხადოს აუქციონი და გასცეს ლიცენზია შპს ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწაზე (ს.კ. 53.01.38.016) სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად.

ამასთანავე, ვაცხადებ თანხმობას, რომ ირინე ფილაურმა (პ/ნ 01024059879), ელენე თოთიბაძემ (პირადი ნ: 01008022979) ან/და ქეთევან ლორიამ (პ.ნ. 01005035590) (როგორც ერთობლივად, ასევე დამოუკიდებლად), დაიცვან შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია"-ის ინტერესები სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულმა სააგენტოში და ისარგებლონ ყველა იმ უფლებებით, რაც კანონით მინიჭებული აქვთ განმცხადებელს.

წინამდებარე თანხმობა შეზღუდვის გარეშე მოიცავს უფლებას აწარმოონ მიმოწერა შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია"-ს სახელით, შეიტანონ განცხადებები სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად საჭირო ლიცენზიების მისაღებად (მათ შორის, შეუკვეთონ ტოპოგრაფიული რუკა, მიიღონ მონაწილეობა აუქციონის პროცედურებში, სხვ.), სარჩელები, საჩივრები, ხელი მოაწერონ საზოგადოების სახელით ყველა დოკუმენტს, საჭიროებისამებრ ჩაატარონ შეხვედრები მესამე პირებთან და საზოგადოების სახელით გადაიხადონ და დაიბრუნონ საფასურები ნებისმიერ საქმესთან დაკავშირებით.

ირინე ფილაურის, ელენე თოთიბაძისა და ქეთევან ლორიას უფლებამოსილება ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

თარიღი: 5 აპრილი 2023

დირექტორი: პატრიკ ჰონეფი

თარჯიმანი: ეკატერინე ენუქიძე

# Permission

I, Patrick Honnef (P/N L2WMGWCZZ; C4Y0K755W; C4Y045940) as a Director of Georgian Wines and Spirits Company Ltd. (226523866) agree that National Agency of Mineral Resources announce auction and issue license on gaining natural resources on the Georgian Wines and Spirits Company's land (cadastral code 53.01.38.016).

Also, I agree and issue a permission on behalf of Irine Pilauri (ID 01024059879), Elene Totibadze (ID 01008022979) and/or Ketevan Loria (ID 01005035590) to represent independently and/or jointly Georgian Wines and Spirits Company's Ltd. interests before National Agency of Mineral Resources with the rights attributable by the law to the applicant.

The permission hereby granted shall include without limitation the right to correspond on behalf of Georgian Wines and Spirits Company Ltd, file petitions on obtaining licenses on natural resources (Including, to order topographic map, participation in auction procedures), claims, complaints, and sign any and all other documents, hold meetings with third parties and State officials, pay and return fees related to any case.

Irine Pilauri's, Elene Totibadze's and Ketevan Loria's authority is valid till 31 December 2023.

Date: 5 April 2023

Director Patrick Honnef Patrick Honnef

The translator: Ekaterine Enukidze Ekaterine Enukidze

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N230436710 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 05.04.2023 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | **ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება** |
| ნოტარიუსი | ნინო მათნაძე |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | **ქ. თელავი, ქ.წამებულის ქუჩა N11, მეორე სართული** |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 598 50 08 11 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 55053418367123 |

ორიათას ოცდასამი წლის ხუთ აპრილს მე, ნინო მათნაძეს, ნოტარიუსს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თელავი, ქ.წამებულის ქ.11, მეორე სართული, მომმართეს: პატრიკ ჰონეფმა, ასევე თარჯიმანმა ეკატერინე ენუქიძემ. მათ წარმოადგინეს ქართულ და ინგლისურ ენაზე შედგენილი დოკუმენტი თანხმობა და მოითხოვეს მასზე ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართეს: პატრიკ ჰონეფმა (დაბ. 16.01.1969წ. გაცხადებული საცხოვრებელი ადგილი: თბილისი, გოგებაშვილის 36, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პასპორტი №C4Y0K755W) და ეკატერინე ენუქიძემ (დაბ. 31.01.1982წელს, თელავში, რეგისტრირებული მისამართი და გაცხადებული საცხოვრებელი ადგილი: საქართველო, თელავის მუნიციპალიტეტი, ქალაქი თელავი, ჭაბუა ამირეჯიბის ქუჩა, N 21, პ/ნ 20001007726). თარჯიმანმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: დიპლომი = 001508 გაცემული 2003 წელს თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ. მე დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, მე თარჯიმანი გავაფრთხილე იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. თარჯიმანმა ჩემს წინაშე დაადასტურა, რომ თარგმანი ზუსტია. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე ხელმოწერის სამართლებლივი შედეგები, რის შემდეგაც მათ ჩემი თანდასწრებით მოაწერეს ხელი წინამდებარე დოკუმენტს ორ გვერდზე. ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება არ ნიშნავს დოკუმენტის შინაარსისა და მასში წარმოდგენილი ფაქტების დადასტურებას.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: 23.88 (ოცდასამი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი), აქედან: 16.00 (თექვსმეტი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტისა, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5 (ხუთი) ლარი, + აგრეთვე დღგ - 2.88 (ორი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი) ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა,

ნოტარიუსი: ნინო მათნაძე ნ. მათ

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18